საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის ოქტომბრის 16	№ 11 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შინაარსი:

მუხ. 722. იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის წარმატებით განხორციელებას.
„ 723. ა/კსფსრ იმ კანონთა ნუსხის შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ორთქლის ქვაბებისა, წნევით მომქმედ ხელსაწყოსი, ამწევისა და საამწევო მექანიზმის გამოსაღების შესახებ“ 1925 წლის დეკემბრის 11-ს თარიღის დადგენილების გამოცემის გამო.
„ 724. ა/კსფსრ შავიზღვის ნავთსადგურებში დატვირთვისა და გადმოტვირთვის სასყიდლის ნორმის შესახებ.
„ 725. დებულება—ა/კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის შესახებ.
„ 726. ნავთის პროდუქტების ფასის შესახებ.
„ 727. შაჭრის ფასის შესახებ.
„ 728. ქუულინის მარილის ფასის შესახებ.
„ 729. ნახიჩევანის ქვა-მარილის ფასის შესახებ.
„ 730. ყირიმის მარცლოვანი მარილის ფასის შესახებ.
„ 731. პურის ფასის შესახებ.
„ 732. საპნის ფასის შესახებ.
„ 733. გოგირდის ფასის შესახებ.
„ 734. მაზუთის ფასის შესახებ.
„ 735. შაბიამანის ფასის შესახებ.
„ 736. თამბაქოს ფასის შესახებ.
„ 737. სადასაზღვევო გადასახადის თავისდროზე და სრულად აღნუსხვისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ.
„ 738. 1926—1927 წლის პირველ ნახევარში სპეციალისტებისათვის სასყიდლის მისაცემად სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაარსებისა და განსაკუთრებული კვალიფიკაციის სპეციალისტების ამერკავკასიის მასშტაბით აღნუსხვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხ. 739. ა/კსფსრ სტატისტიკური დაწესებულებების ზომა-წონის მეტრულ სისტემაზე გადასვლის შესახებ.

„ 740. განჯის ვიწროლიანდაგიანი შტოთი მგზავრთა მიმოსვლის ტარიფის შესახებ.

„ 741. ძმრის აქციზის გაუქმების შესახებ.

„ 742. იმ კანონთა ნუსხის შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წ. აპრილის 24 დამტკიცებული და ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. აგვისტოს 9-ს დამტკიცებულ ადგილობრივი ფინანსების დებულებასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

722. იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის წარმატებით განხორციელებას.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „1926 წელს მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის მოხდენის შესახებ“ 1926 წ. სექტემბრის 3-ს თარიღით გამოცემული დადგენილების („იზვესტია“-ს 206 №-რი 1926 წ. სექტემბრის 8-სა) შესასრულებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაეკისროს აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სახალხო კომისართა საბჭოებისა და ამ უკანასკნელთა ქვემდებარე ორგანოების მეშვეობით, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ საქვემდებარეო ტერიტორიაზე მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერას, კერძოდ—უზრუნველჰონ აღწერა: საჭირო მომუშავეთა კადრით; მასალების შენახვისა და შემუშავებისათვის საჭირო სადგომებით; ზიდვის საშუალებით; სამუშაოდ წარვლენილ მომუშავეთათვის საჭირო დროებითი სადგომებით.

2. დაეკალოს სსრკ გზათა სახალხო კომისარიატისა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს ა/კსფსრ-ში—უზრუნველჰყონ ყველა ის, ვინც კი აღწერაზე მუშაობს, მით, რომ რკინის გზების სადგურებზე, წყალსავალ გზების ნავთსადგურებზე და შარაგზების ტრანსპორტზე ბილეთები რიგს გარეშე მიეცეთ ხოლმე და შესაძლებლობა ჰქონდეთ გამოიყენონ კავშირგამბულობის საშუალებანი:—გადასცენ დეპეშები, ილაპარაკონ სამაზრო და საქალაქთაშორისო ტელეფონით, გაგზავნონ ფოსტით პაკეტები და ამანათები, აგრეთვე რკინის გზით, წყალსავალი გზით და შარაგზის ტრანსპორტით—რიგს გარეშე და დაუბრკოლებლად.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ სათანადო სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებს—მიიღონ მათ თავიანთ უახლოეს ზედამხედველობის ქვეშ მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის მუშაობა და პირადი განკარგულებით ააცილონ ხოლმე ამ საქმეს ყოველგვარი დაბრკოლება, რათა აღწერა წარმატებით და თავის დროზე იქნეს განხორციელებული.

4. რათა ყოველი ღონისძიება სასწრაფოდ იქნეს განხორციელებული და ყველა ცალკე უწყებისა და დაწესებულების მოქმედება, რაც-კი აღწერისათვის ხელის შესაწყობად იქნება მიმართული, ერთი-მეორეს შეუკავშირდეს, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—მოაწყონ იმ ხნის განმავლობაში მოქმედებისათვის, რაც აღწერა იწარმოებს, მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერისათვის

ხელისშემწყო რესპუბლიკანური სამეულები, სათანადო სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეთა, ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლებისა და იმ სასტატისტიკო ორგანოების მმართველთა შედგენილობით, რომელნიც აღწერას აწარმოებენ.

5. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს აწარმოონ, სათანადო სახალხო კომისართა საბჭოების მეშვეობით და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების ორგანოების მონაწილეობით, სააგიტაციო კამპანია მოსახლეობის მომზადებისა და მისთვის სრულიად-საკავშირო აღწერის მიზნებისა და წარმოების წესის გაცნობისათვის.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს დააკისრონ იმ დაწესებულებებს, რომელთაც საერთო-საცხოვრებელი ადგილები აქვთ (საპატიმრო, საავადმყოფო, დასვენების სახლი, თავშესაფარი და სხვ.), აღწერა ამ საერთო-საცხოვრებელ ადგილებში მოახდინონ ხსენებულმა დაწესებულებებმა, რისთვისაც ეს დაწესებულებანი საჭირო პერსონალს თავიანთ მოსამსახურეთა შედგენილობიდან გამოჰყოფენ. აღწერის წესი ასეთ საერთო-საცხოვრებელ ადგილებში განისაზღვრება სტატისტიკის ორგანოს შეთანხმებით სათანადო დაწესებულებასთან.

7. რათა აღწერის საქმე უზრუნველყოფილ იქნეს მომუშავეთა საჭირო კადრით, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სათანადო სახალხო კომისართა საბჭოების მეშვეობით, განკარგულება მოახდინონ განათლების სახალხო კომისარიატების ქვემდებარე ორგანოების მიმართ, რომ სააღწერო მუშაობაში ჩაბმული მასწავლებელთა პერსონალი განთავისუფლებულ იქნეს თავის პირდაპირი მოვალეობისაგან სააღწერო პერიოდის განმავლობაში—1926 წლის დეკემბრის 15-დან 31-დე.

ამავე მიზნით წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—ვალდებულჰყონ ყველა დაწესებულება—გაანთავისუფლონ ხოლმე სააღწერო პერიოდის განმავლობაში სტატისტიკის ორგანოების მიერ გაწვეული ყველა მოსამსახურე, რომელსაც აქვს სასტატისტიკო გამოცდილება, და რომელიც სურვილს განაცხადებს მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობა მიიღოს.

8. სააღწერო კრედიტები გახსნილ უნდა იქნეს როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებში, რიგს გარეშე და იმ ვადებზე, რასაც ცენტრისთვის ა/კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო დაწესებს, ხოლო რესპუბლიკებისათვის—რესპუბლიკანური ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—ვალდებულჰყონ რესპუბლიკანური ფინანსთა სახალხო კომისარიატები—მიიღონ მათ თავის დროზე სათანადო ღონისძიება, რათა ადგილობრივ (სამაზრო) ხაზინებს საკმაო ფულადი სახსარი ჰქონდეთ აღწერის საჭიროებისათვის. ამასთანავე ერთად განკარგულება უნდა მიეცეთ სამაზრო საფინანსო განყოფილებათ—დაუყონებლივ გაასწორონ ხოლმე

ადგილობრივ ანგარიშები და რომ საალწერო სახსარი სხვა საჭიროებაზე არ იხარჯებოდეს.

9. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მცხოვრები ყოველი მოქალაქე მოვალეა მისცეს ხოლმე აღწერის რეგისტრატორს ნამდვილი ცნობა ყველა საალწერო კითხვის გამო. ის, ვინც თავს აარიდებს ცნობების მიცემას, პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული მთავრობის განკარგულების შეუსრულებლობისათვის.

10. საალწერო ფორმულიარში აღნიშნულ კითხვებზე მისაცემი პასუხის გამოყენება სხვა რაიმე მიზნისათვის, გარდა იმისა, რაც საჭიროა სტატისტიკური ცხრილის შედგენისათვის, —აკრძალულია.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. სექტემბრის 27. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1290 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 1-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

723. ა/კსფსრ იმ კანონთა ნუსხის შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კოიისართა საბჭოს მიერ „ორთქლის ქვაბებისა, წნევით მომქმედ ხელსაწყოსი, ამწევისა და საამწევო მექანიზმის გამოსაღების შესახებ" 1925 წ. დეკემბრის 11-ს თარიღის დადგენილების გამოცემის გამო.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ორთქლის ქვაბებისა, წნევით მომქმედ ხელსაწყოსი, ამწევისა და საამწევო მექანიზმის გამოსაღების შესახებ" 1925 წ. დეკემბრის 11-ს თარიღით გამოცემულ დადგენილებასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნაშნული—1925 წ. დეკემბრის 11-ს—დადგენილების სამოქმედოდ შემოღების გამო—ძალა დაკარგულად ჩაითვალოს ა/კსსრ საკავშირო საბჭოს 1922 წ. დეკემბრის 8-ს დეკრეტი: „ორთქლის ქვაბებისა, შიდაწვის ძრავისა და წნევით მომქმედი წყლის ჭურჭლის მეპატრონეთათვის გადასახადის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახდევინების შესახებ, იმის მიუხედავად თუ ვის ეკუთვნის იგი, ხოლო რკინისგზებისა და წყლის ტრანსპორტის გამოკლებითი“.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებს გამოსცენ იმ დადგენილებათა და განკარგულებათა (ცირკულიართა) ნუსხა, რაც გამოიცა ა/კსსრ საკავშირო საბჭოს ზემოაღნიშნული—1922 წ. დეკემბრის 8-ს—დეკრეტის საფუძველზე და რაც, ამ დეკრეტთან ერთად, ძალასა ჰკარგავს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანონიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. სექტემბრის 27. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1291 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 2-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

724. ა/კსფსრ შავი ზღვის ნავთსადგურებში დატვირთვისა და გადმოტვირთვის სასყიდლის ნორმის შესახებ.

რადგანაც ა/კსფსრ შავი ზღვის ნავთსადგურებში ამ ჟამად არსებული დატვირთვისა და გადმოტვირთვის სამუშაოს სასყიდლის განაკვეთები მეტის-მეტად დიდია კავშირის სხვა ნავთსადგურებში მომქმედ განაკვეთებთან შედარებით, ამისგამო ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ შავი ზღვის ნავთსადგურებში მუშა-ძალის სასყიდლად დატვირთვისა და გადმოტვირთვის ძირითადი ოპერაციის შესრულებისათვის 0,5 კაპ. ფუთზე ან 30,5 კ. ტონნაზე; ამ სასყიდელში არ შედის სამუშაო ხელფასის დანარიცხი (სოციალური დაზღვევისა, სპეც-ტანისამოსისა და სხვ.).

2. აღნიშნული ნორმა მუშა-ძალის ძირითადი ოპერაციის სასყიდლისა, პროცენტული დანარიცხის მიუთვლელად, უკიდურესი ნორმაა, ხოლო კონკრეტული შეფასება სამუშაოს ცალკე ვარიანტებისა და ტვირთთა ცალკე კატეგორიების მიხედვით მოხდება, ძირითად ოპერაციის ღირებულებასთან პროცენტული შეფარდების სახით, შრომის კანონთა კოდექსის წესისამებრ, მეტრანს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტეთა კავშირის ადგილობრივი განყოფილებისა და სათანადო ორგანიზაციის თუ საწარმოს შეთანხმებით.

3. სამუშაო ხელფასზე პროცენტული დარიცხვა უნდა მოხდეს 16%-ს რაოდენობით სოციალური დაზღვევისათვის და $10^1/_2$%-ს რაოდენობით კულტფონდისა, ადგილობრივი კომიტეტისა, სპეც-ტანისამოსისა და კომპენსაციისათვის, სულ-კი $26^1/_2$%-ს რაოდენობით; ხოლო პროცენტული დარიცხვა სპეციალური დატვირთვა-გადმოტვირთვის ორგანიზაციების შესანახად გაწეული ხარჯების დასაფარავად—7%-ზე არა უმეტესი რაოდენობით.

4. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ შავი ზღვის ნავთსადგურებში ნავჭურჭლის დატვირთვისა და გადმოტვირთვისათვის უნიფიციური განაკვეთები, სამუშაო ხელფასის დანარიცხის ჩათვლით.

5. სასყიდლის კონკრეტული ნორმები და უნიფიციური განაკვეთები განხორციელებულ იქნეს ამა დადგენილების საფუძველზე ორის თვის განმავლობაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. სექტემბრის 27. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1294 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 6-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

725. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის შესახებ:

1. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების სფეროში ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის დაკისრებული მოვალეობის განსახორციელებლად (ა/კსფსრ ძირითადი კანონის მე-2 კარის 1-ლი თავის 1-ლი მუხლის „დ" პუნქ.) მოეწყობა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საბიუჯეტო კომისიას დაეკისრება—განიხილოს:

ა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადასტურებული ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი ყველა მისი ნაწილებითურთ;

ბ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი ყველა საკითხი, რაც-კი ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებას შეეხება;

გ) ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის აღსრულების ანგარიში, მას შემდეგ, როდესაც იგი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში გაივლის;

დ) დირექტივები ბიუჯეტის შედგენის შესახებ;

ე) ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინადადებით—განსაჩვენებანი, რაიც შეტანილ იქნება ამერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისარიატების მიერ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებზე საბიუჯეტო ხასიათის საკითხების გამო;

ვ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესახები ყველა სხვა საკითხი, რასაც კომისიას განსახილველად ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი გადასცემს, და ის საბიუჯეტო ხასიათის საკითხები, რაც თვით საბიუჯეტო კომისიისა და მისი ცალკე წევრების ინიციატივით აღიძვრის;

ზ) ის საკითხები, რაც დაკავშირებულია ა/კსფსრ და მასში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა განსაზღვრასთან.

შენიშვნა. ამა დებულების მე-2 მუხ. გათვალისწინებული საკითხები ა/კ. ცენ. აღმ. კომიტეტის საბიუჯეტო კომისიაში განიხილება მას შემდეგ, როდესაც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისაგან მოთხოვნილ იქნება დასკვნები.

3. ამა დებულების მე-2 მუხ. „ა“ პუნ. აღნიშნულ ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს—ყველა მისი ნაწილებითურთ—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო წარადგენს საბიუჯეტო კომისიაში იმავე დროს, რა დროსაც იგი ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტს წარადგენს ამერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში დასამტკიცებლად.

4. საბიუჯეტო კომისია შეადგენს მოხსენებას ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების წესის მიხედვით (ა/კსფსრ და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-12 მუხ.); ამასთანავე ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამერკავკასიის საბჭოთა ყრილობის მიერ ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ან წევრი თანამომხსენებლად გამოვა.

5. ა/კსფსრ სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებები, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში საფინანსო ხარჯთაღრიცხვების წარდგენასთან ერთად, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკები თავიანთი ბიუჯეტების (შემოსავალ-გასავლის აღრიცხვების) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში წარდგენასთან ერთად, ჰგზავნიან აღნიშნული ხარჯთაღ-

რიცხვებისა და ბიუჯეტების ასლებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიაში. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, საბიუჯეტო კომისია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპულიკების ბიუჯეტებსა და ა/კსფსრ ხარჯთაღრიცხვებს გაანაწილებს კომისიის წევრთა შორის წინასწარ დასამუშავებლად და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიისათვის მოსახსენებლად; ამასთანავე კომისიის წევრებს უფლება ეძლევათ მოითხოვონ ხოლმე საჭირო მასალა და მონაწილეობა მიიღონ მათთვის მინდობილი ხარჯთაღრიცხვების ყველა ინსტანციაში განხილვის დროს.

6. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისის წევრებსა და მათ კანდიდატებს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ განსაზღვრული რიცხვით, აარჩევს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესსია.

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს დანიშნავს ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი საბიუჯეტო კომისიის წევრთაგან.

7. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისია გამოიყოფს თავისი წრიდან ხუთი კაცისაგან შემდგარ პრეზიდიუმს, მათ შორის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის მდივანი აირჩევა კომისიის მიერ კომისიის პრეზიდიუმის წევრთა შორის.

8. კომისიის პრეზიდიუმს დაეკისრება:

ა) მოიწვიოს ხოლმე კომისიის პლენარული სხდომა;

ბ) შეიმუშაოს საბიუჯეტო კომისიის მოქმედებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და სამდივნო ნაწილის გამგებლობის საკითხები;

გ) შეამზადოს საბიუჯეტო მასალები კომისიის პლენარული სხდომისათვის და წინასწარ განიხილოს იგი.

9. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო კომისიაში განხილვის დროს კომისიის სხდომას დაესწრებიან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენელნი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წარმომადგენელნი.

10. საბიუჯეტო კომისიას უფლება აქვს მიიწვიოს მცოდნე პირნი და დაიბაროს უწყებათა წარმომადგენელნი მათი განმარტების მოსასმენად.

11. კომისიის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ დაესწრო კომისიის წევრთა ნახევარი შედგენილობა მაინც; კომისიაში ყველა საკითხი ხმის მარტივი უმეტესობით გადაწყდება.

12. კომისიის პრეზიდიუმის სხდომა კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ, თავმჯდომარისა და მისი მოადგილის გარდა, დაესწრო პრეზიდიუმის ორი წევრი მაინც; ყველა საკითხი გადაწყდება ხმის მარტივი უმეტესობით.

13. საბიუჯეტო კომისიის მოხსენება ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, საქმის გარემოებათა აღნუსხვისა და კომისიის მოსაზრებათა გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, უნდა შეიცავდეს კომისიის დასკვნას ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების პროექტის სახით.

14. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომატეტის საბიუჯეტო კომისიას და მის პრეზიდიუმს მომსახურეობას გაუწევს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სეკრეტარიატი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. სექტემბრის 27. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

დადგენილება № 43|99 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მაწესრიგების სამმართველოდ)

1926 წ. ოქტომბრის 5.

726. ნავთის პროდუქტების ფასის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ" პუნქტის თანახმად—ამიერკავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თვისი, 1925 წლის ივლისის 30 თარიღისა და 50 №-რის, დადგენილების 1-ლი და მე-11 მუხ. „ა" და „ბ" პუნქტების შესაცვლელად, ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს შემდეგი საბითუმო საგასაცემო ფასები ნავთის პროდუქტებზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საქართველოს სახელმწიფო სათბობი მასალის განყოფილების მიერ გაცემისათვის:

ა) ფრანკო-საწყობი ტფილისში და ნავთლუღში:

	სახელმწ. ვაჭრ. და კოოპერაციისათვის		კერძოთათვის	
კეროსინი 1 კილოგრ. .	7,5	კაპ.	8,24	კაპ.
ბენზინი	27,78	„	27,78	„
მანქანის ზეთი . . .	19,05	„	19,05	„
ცილინდრის ზეთი . .	25,88	„	25,88	„
სამოტორო ნავთი . .	5,22	„	5,22	„

ბ) ფრანკო-ცისტერნა ტფილისისა და ნავთლულის სადგურზე:

	სახელმწ. ვაჭრ. და კოოპერაციისათვის	კერძოთათვის
ბენზინი 1 კილოგრ. . .	26,31 კაპ.	26,31 კაპ.
მანქანის ზეთი	18,31 „	18,31 „
ცილინდრის ზეთი . . .	24,91 „	24,91 „
სამოტორო ნავთი . . .	5,01 „	5,01 „

გ) ფრანკო-ცისტერნა ბათუმში:

	სახელმწ. ვაჭრ. და კოოპერაციისათვის	კერძოთათვის
კროსინი 1 კილოგრ. .	7,63 კაპ.	7,75 კაპ.
ბენზინი	29,61 „	29,61 „
მანქანის ზეთი	21,12 „	21,12 „
ცილინდრის ზეთი . . .	27,84 „	27,84 „

დ) ფრანკო-საწყობი ბათუმში (აფხაზეთისათვის):

კროსინი 1 კილ. . . . . 7,69 კ.

§ 2. დაწესებულ იქნეს შემდეგი ცალობითი საგასაცემო ფასები სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის ქალ. ტფილისში გასაყიდად:

კროსინი 1 კილოგრ. . . . . 9 კაპ.

§ 3. დაწესებულ იქნეს შემდეგი საბითუმო საგასაცემო ფასები სომხეთის სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსათვის:

ა) ფრანკო-საწყობი ერივანში:

	სახელმწ. ვაჭრ. და კოოპერაციისათვის	კერძოთათვის
კროსინი 1 კილოგრ. .	8,97 კაპ.	9,16 კაპ.
ბენზინი	27,90 „	27,90 „
ნანქანის ზეთი	19,23 „	19,23 „
ცილინდრის ზეთი . . .	25,95 „	25,95 „

§ 4. დაევალოს ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს სომხეთისა და აზერბაიჯანის სსრ-ში დააწესონ ნავთის პროდუქტებზე შემდგომი საბითუმო და ცალობითი საგასაცემო ფასები თვითეული რესპუბლიკისათვის ცალკე.

§ 5. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1926 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 44/100 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. ოქტომბრის 5.

727. შაქრის ფასის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „ვ“ პუნ. თანახმად—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ 1924 წ. აპრილის 12-ს დადგენილების მე-2 მუხ. მე-11 პუნ. „ა“, „ბ“, „ვ“ და „ვ“ ლიტერების შესაცვლელად, ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს შაქარზე შემდეგი ცალობითი საგასაცემო ფასები სახელმწიფო ვაჭრობისა, კოოპერაციისა და კერძო ვაჭრებისათვის:

	1 კილოგრამმის ფასი	
	შაქარი-რაფინადი	შაქრის ფხვნილი
ქალ. ტფილისში . .	85 კაპ.	68 კაპ.
ქალ. ბათუმში . . .	85 „	69 „
ქალ. ბაქოში	80 „	61 „
ქალ. ერევანში . . .	85 „	70 „

§ 2. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში და მ ასმა ადგილობრივმა ორგანოებმა თვალყური უნდა ადევნონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 4. დადგენილება ესე ძალაში შედის ღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 45|101 ა|კსფსრ შინა-ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. ოქტომბრის 5.

728. ქუულინის მარილის ფასის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წლის ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტის თანახმად, ამიერკავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წლის თებერვლის 18-ს თარიღისა და 27 № რის, დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ ლიტერების შესაცვლელად, ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს ქუულინის დაუფქვავ მარილზე შემდეგი უკიდურესი საბითუმო (ეაგონობით) გასაცემი ფასები მარილის სინდიკატისათვის:

ა) ფრანკო-მარილის სინდიკატის საწყობი ქალ. ბაქოში:

	სახელმწ. ვაჭრ. და კოოპერაციისათვის	კერძოთათვის
1 კილოგრამმი	2,27 კაპ.	2,39 კაპ.

ბ) ფრანკო-ვაგონი ბაქოს სადგური:

1 კილოგრამმი	2,39 კაპ.	2,51 კაპ.

§ 2. დაეკალოს ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს აზერბაიჯანის სსრ-ში დააწესოს ზემოაღნიშნულ მარილზე შემდგომი საბითუმო და ცალობითი საგასაცემო ფასები ქალ. ბაქოსათვის.

§ 3. ა/კ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა აზერბაიჯანის სსრ-ში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო

კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

დადგენილება № 46|102 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. ოქტომბრის 5.

729. ნახიჩევანის ქვა-მარილის ფასის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ—1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი თავისი, 1925 წ. აპრილის 18-ს თარიღისა და 35 №-რის, დადგენილების 1-ლი მუხ. „ა“ და „ბ“ ლიტ. და მე-11 მუხ. „დ“ ლიტ. შესაცვლელად—ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს ნახიჩევანის ქვა-მარილზე შემდეგი უკიდურესი საბითუმო (ვაგონობითი) საგასაცემო ფასები:

ა) ფრანკო-ვაგონი შახტახტისა და ნახიჩევანის სადგურები:

	კოოპ. და სახელ. ვაჭრობისათვის	კერძო ვაჭრობისათვის
ერთი კილლოგრამი . . .	2,44 კაპ.	2,56 კაპ.

ბ) ფრანკო-ვაგონი ტფილისის სადგური:

ერთი კილოგრამმი . . .	3,42 კაპ.	3,54 კაპ.

§ 2. დაწესებულ იქნეს ნახიჩევანის მარილზე შემდეგი უკიდურესი წვრილ-საბითუმო საგასაცემო ფასები ფრანკო-სახელმწიფო და საკოოპერაციო ვაჭრობის საწყობები და დუქნები ტფილისში:

ერთი კილოგრამმი . . . . . 4,03 კაპ.

§ 3. დაევალოს ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში დააწესონ ნახიჩევანის ქვა-მარილზე შემდგომი საგასაცემო ფასები ქალაქ ბაქოსა და ერევნისათვის.

§ 4. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

დადგენილება № 47/103 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. ოქტომბრის 5.

730. **ყირიმის მარცვლოვანი მარილის ფასის შესახებ.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ—1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქ. თანახმად—ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წ. თებერვლის 18-ს თარიღისა და 28 №-რის, დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ ლიტერის და მე-11 მუხ. „ა“ და „ბ“ ლიტერის შესაცვლელად, ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს ყირიმის მარცვლოვან მარილზე შემდეგი უკიდურესი საბითუმო (ვაგონობითი) საგასაცემო ფასები მარილის სინდიკატისათვის:

ფრანკო-მარილის სინდიკატის საწყობი ქ. ბათუმში:

	სახელ. ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის	კერძო ვაჭრობისათვის
ერთი კილოგრამმი	2,45 კაპ.	2,57 კაპ.
ბ) ფრანკო-ვაგონი ბათუმში:		
ერთი კილოგრამმი	2,56 კაპ.	2,69 კაპ.

§ 2. დაწესებულ იქნეს ყირიმის მარცვლოვან მარილზე შემდეგი საბითუმო (ვაგონობითი) საგასაცემო ფასები ცეკავშირისათვის:

ფრანკო-საწყობი ბათუმში:

	სახელ. ვაჭრობისა და კოოპერაციისათვის	კერძო ვაჭრობისათვის
ერთი კილოგრამმი	2,56 კაპ.	2,69 კაპ.
ბ) ფრანკო-ვაგონი ბათუმში:		
ერთი კილოგრამმი	2,69 კაპ.	2,81 კაპ.

§ 3. დაევალოს ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში დააწესოს ყირიმის მარცვლოვან მარილზე შემდგომი საგასაცემო ფასი ქალ. ბათუმისათვის.

§ 4. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოს სსრ-ში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**
მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**
საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1296 №-ში 1296 წ. ოქტომბრის 8-ს.

დადგენილება № 48/104 აკსფსრ შინა-ვაჭროგის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. ოქტომბრის 5.

731. პურის ფასის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების თაობაზე" 1924 წლის ივნისის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ" პუნქტის თანახმად, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი თვისი, 1925 წლის თებერვლის 2-ს თარიღისა და 25 №-რის, დადგენილების შესაცვლელად, ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს ქალაქ. ტფილისსა, ბათუმსა, ბაქოსა და ერევანში პურის შემდეგი უკიდურესი ფასი კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობისათვის:

1-ლი ხარისხი 1 კილოგრ.	22 კაპ.
მე-2 ხარისხი 1 კილოგრ.	17 კაპ.
მე-3 ხარისხი 1 კილოგრ.	14,5 კაპ.

შენიშვნა. სათანადო ხარისხის ქართული პურის (თონის) ფასი კილოგრამზე ორი კაპიკით ძვირია.

§ 2. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

§ 3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ერქომაიშვილი.**
მოწესრიგების სამმართვ. უფროსი **ნოვიკოვი.**
საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 49/105 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. ოქტომბრის 5.

საქართველოს სახალხო ... ბიბლიოთეკა

732. საპნის უკიდურესი ფასის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭ-რობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. იანვა-სის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, ა/წ. აპრილის 10-ს თა-რიღისა და 17/73 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს საქართველოს სსრ სმუს-ის საფეიქრო-საზეთე-სა-საპნე ტრესტის ქარხნის „მამლისა“, „ტოლლე“-ს და „მარმარილო“-ს საპონზე შემდეგი საბითუმო-საგასაცემო ფასები ქალ. ტფილისში ფრანკო-ქარხანა:

ა) სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციისათვის:

1. „მამლის“ საპონი 1 კილოგრ. ნეტტო . . 42,75 კაპ.
2. „ტოლლე“-ს საპონი 1 კილგრ. ნეტტო . . 42,75 კაპ.
3. „მარმარილო“-ს საპონი 1 კილოგრ. ნეტტო 37,85 კაპ.

ბ) კერძო ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს იგივე ფასები შემდეგი პრო-ცენტის დამატებით: „მამალისა“ და „ტოლლე“-ს საპონზე—3 პროც., „მარმარი-ლო“-ს საპონზე—4 პროც.

§ 2. მაგარი ცხიმის პროცენტული შედგენილობა საქართველოს სსრ სმუს-ის საფეიქრო-საზეთე-სასაპნე ტრესტის წარმოების საპონში განისაზღვრება: „მა-მლისა“ და „ტოლლე“-ს საპნისთვის—მინიმუმ 64 პროც., ხოლო „მარმარი-ლო“-ს საპნისთვის—48 პროცენტით.

§ 3. საქართველოს სსრ სმუს-ის საფეიქრო-საზეთე-სასაპნე ტრესტის სა-წყობებში ხელთქონებული მაგარი, რომელშიაც მაგარი ცხიმის პროცენტული შედგენილობა ამა დადგენილების მე-2 §-თ განსაზღვრულ ნორმებზე ნაკლებია, განაღდებულ უნდა იქნეს შემდეგ ფასად:

ა) სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციისათვის:

თითო ყუთი „ტოლლე“-ს საპონი . . 11 მან. და 75 კაპ.
თითო ყუთი „მამლის“ საპონი . . . 20 მან. და 75 კაპ.

ბ) კერძო ვაჭრობისათვის:

თითო ყუთი „ტოლლე“-ს საპონი . . . . . 12 მან.
თითო ყუთი „მამლის“ საპონი . . . . . 21 მან.

§ 4. ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წ. თებერვლის 24-ს თარიღისა და 29 №-რის დადგენილებით სახელმწიფო ორგანოებისათვის და კოოპერაციისათვის დაწესებული ზემოაღნიშნული ხარისხების საპნის ცალ-ბითი ფასები ამა დადგენილებით გაუქმებულია.

§ 5. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში წინადადება ეძლევათ დაამყარონ საასწრაფო წესით სათანადო რესპუბლიკაში ადგილობრივი წარმოების საპნის უკიდურესი ფასები.

§ 6. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა მეთვალყურეობა უნდა იქონიონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებისათვის.

§ 7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

დადგენილება № 50|106 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. ოქტომბრის 5.

733. გოგირდის ფასის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარაღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნ. თანახმად, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, ა/წ. ივნისის 26-ს თარიღისა და 20/76 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

§ 1. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტრესტისა და ა/კ. კავშირის საგასაცემო-საბითუმო ფასი „ბულდა"-ს მარკის გოგირდზე დაწესებულ იქნეს სახელმწიფო ვაჭრობისა და ნაციონალური კოოპერატიული ცენტრებისათვის მისაყიდად ერთ კილოგრამზე ბრუტტო ნეტტოთი ფრანკო-ვაგონი ბათუმში—14,65 კაპ.

§ 2. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და ნაციონალური კოოპერატიული ცენტრების საგასაცემო-საბითუმო ფასი „ბულდა"-ს მარკის გოგირდზე დაწესებულ იქნეს პირველი საფეხურის კოოპერატივებისათვის მისაყიდად ერთ კილოგრამზე ბრუტტო ნეტტოთი ფრანკო-ვაგონი ბათუმში—15,57 კაპ.

§ 3. პირველი საფეხურის კოოპერატივის საგასაცემო-საბითუმო ფასი „ბულდა“-ს მარკის გოგირდზე უშუალოდ მომხმარებელ გლეხებისათვის მისაყიდად დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით: თვითღირებულება ფრანკო-ვაგონი ბათუმში პლიუს 15 პროც. დანაფანტის ასანაზღაურებლად და აგრეთვე კოოპერატივის საორგანიზაციო და სხვა ხარჯების დასაფარავად და პლიუს ნამდვილი ხარჯი გოგირდის იმ ადგილამდე გადაგზავნისა, სადაც გაყიდვა მოხდება. ფასი ბრუტტო ნეტოთი.

§ 4. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

§ 5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩეკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

დადგენილება № 51/107 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. ოქტომბრის 5.

734. მაზუთის ფასის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტის თანახმად, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, ა/წ. ივნის 22-ს თარიღითა და 32/88 №-რით გამოცემული, დადგენილების შესაცვლელად, ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი საბითუმო ფასები საქართველოს სსრ სმუს-ის სათბობი მასალის განყოფილების მაზუთზე:

ა) ფრანკო-საქართველოს სსრ სმუს-ის სათბ. მასალის განყ. საწყობი:

ტფილისში და ნავთლულში	4,83 კაპ. 1 კილოგრ.
ბათუმში	5,16 კაპ. 1 კილოგრ.

ბ) ფრანკო-ცისტერნა ტფილისის სადგურზე . . 4,21 კაპ. 1 კილოგრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 2. დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი საბითუმო-საგასაცემო ფასები სომხეთის სსრ სმუს-ის მაზუთზე:

ა) ფრანკო-ცისტერნა სად. ერივანი 1 კილოგრ. . . . . 4,61 კაპ.

ბ) ფრანკო-სომხეთის სსრ სმუს-ის საწყობი—ერივანში 1 კილ. . 4,73 კაპ.

§ 3. დაევალოს ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სომხეთის სსრ-ში დააწესოს სომხეთის სსრ ტერიტორიისათვის მაზუთის შემდგომი უკიდურესი საბითუმო-საგასაცემო ფასები.

§ 4. დაევალოს ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს აზერბაიჯანის სსრ-ში დააწესოს აზერბაიჯანის ტერიტორიისათვის მაზუთის უკიდურესი ფასები.

§ 5. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

§ 6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სასხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

დადგენილება № 50/108 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. ოქტომბრის 5.

735. შაბიამანის ფასების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნ. თანახმად, ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926 წლის აპრილის 26-თარიღისა და 21/77 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

§ 1. ა/კ. კავშირისა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და ა/კ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტრესტის საგასაცემო საბითუმო ფასი „მაკლსფელდ"-ის მარკის შაბიამანზე დაწესებულ იქნეს ნაციონალ. კოოპერატი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული ცენტრებისა და სახელმწიფო ვაჭრობისათვის მისაყიდად ერთ კილოგრამზე ფრანკო-ვაგონი ბათუმში ბრუტტო ნეტტოთი—34,8 კაპ.. ხოლო კერძო პირებისათვის—35,7 კაპ.

§ 2. ა/კ. კავშირისა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკისა, ნაციონალური კოოპერატიული ცენტრებისა და ა/კ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტრესტის საგასაცემო საბითუმო ფასი „მაკლსფელდ"-ის მარკის შაბიამანზე დაწესებულ იქნეს პირველი საფეხურის კოოპერატივებისათვის მისაყიდად ერთ კილოგრამზე ფრანკო-ვაგონი ბათუმში ბრუტტო ნეტტოთი 35,7 კაპ.

§ 3. პირველი საფეხურის კოოპერაციის საგასაცემო საბითუმო ფასი „მაკლსფელდ"-ის მარკის შაბიამანზე უშუალოდ მომხმარებელ გლეხთათვის მისაყიდად დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით: თვითღირებულება ფრანკო-ვაგონი ბათუში პლიუს 12% დანაფანტის ასანაზღაურებლად და კოოპერატივის საორგანიზაციო და სხვ. ხარჯის დასაფარავად და პლიუს ნამდვილი ხარჯი შაბიამანის იმ ადგილამდე გადასაგზავნად, სადაც გაყიდვა მოხდება. ფასი ბრუტტო ნეტტოთი.

§ 4. ა/კ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტრესტის ტფილისის მაღაზიაში „მაკლსფელდ"-ის მარკის შაბიამანის გაყიდვა სწარმოებს პირველი საფეხურის კოოპერაციისათვის და სახელმწიფო ვაჭრობისათვის კილოგრამმი 40 კაპ., ხოლო კერძო პირებისათვის—41,2 კაპ. ფასი ბრუტტო ნეტტოთი.

§ 5. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში მეთვალყურეობა უნდა იქონიოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

§ 6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისაშებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომიასარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

დადგენილება № 53|109 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველოდ)

1926 წ. ოქტომბრის 7.

736. თამბაქოს ფასის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „ვ“ პუნქტის თანახმად, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წ. აპრილის 30-ს თარიღითა და 38 №-რით გამოცემული, დადგენილების 1-ლი მუხ. შესაცვლელად, ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე შემდეგი უკიდურესი საეტიკეტო ფასები დაჭრილ მოსაწევ თამბაქოზე აქციზის ჩათვლით:

1-ლი ხარისხი „ა“ შეხვეული	100 გრ.	1 მან. და 18 კაპ.
1-ლი ხარისხი „ბ“ შეხვეული	100 გრ.	1 მან.
1-ლი ხარისხი „ბ“ შეხვეული	50 გრ.	50 კაპ.
მე-2 ხარისხი „ა“ შეხვეული	100 გრ.	70 კაპ.
მე-2 ხარისხი „ა“ შეხვეული	50 გრ.	35 კაპ.
მე-2 ხარისხი „ბ“ შეხვეული	100 გრ.	53 კაპ.
მე-2 ხარისხი „ბ“ შეხვეული	50 გრ.	27 კაპ.

2. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წ. აპრილის 30-ს თარიღისა და 38 №-რის დადგენილების მე-2, 3, 4, 5, 6, 7 და 8 მუხ. ძალაში დარჩეს.

3. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარი № 45 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წ. ოქტომბრის 4.

737. სადასაზღვეო გადასახადის თავის დროზე და სრულად აღნუსხვისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ.

ამასთანავე გეგზავნებათ ცნობად და სახელმძღვანელოდ ასლი სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. სექტემბრის 10-ს თარიღისა და 196-631 №-რის ცირკულიარისა „სადასაზღვეო გადასახადის თავის დროზე და სრულად აღნუსხვისა და მიღების ღონისძიებათა შესახებ“.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვ. მთავარი
სამმართველოს უფროსის მაგიერ **სოკოლი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფ. კავშ. საბჭოსთან **შეფტელი.**

ცირკულიარი სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. სექტემბრის 10. № 196-631.

მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს, სოციალური დაზღვევის ცენტრალური სატრანსპორტო სექციის რწმუნებულთ, დაზღვევის საგზაო სალაროებს, დაზღვევის წყალთა სარაიონო სალაროებს და დაზღვევის წყალთა საგზაო სალაროებს.

მძიმე მდგომარეობა სოციალური დაზღვევის საქმისა ავალებს დამზღვევ ორგანოებს მიიღონ სასწრაფო და გადამწყვეტი ღონისძიება, რათა ის თანხები, რაც დამზღვევ ორგანოებს ერგებათ, თავის დროზე და სრულად აღნუსხულ და მიღებულ იქნეს.

ამ მიზნით სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ მიიღოთ სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1. დამზღვევმა სალაროებმა დამაზღვეველთა პირადი ანგარიშების მიხედვით უნდა დაამყარონ მტკიცე მეთვალყურეობა, რათა ყველა დამაზღვეველმა თავის დროზე, დაწესებულ ვადაზე, წარადგინოს ხოლმე ანგარიშგასწორების ნუსხა. იმ საწარმოს, დაწესებულებისა და მეურნეობის პატრონი და პასუხისმგე-

ბელი ხელმძღვანელი, რომელიც-კი ანგარიშგასწორების ნუსხას დაწესებულ ვადაზე არ წარადგენს, მიცემულ უნდა იქნეს, სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, პასუხისგებაში ადმინისტრატიული ან სისხლის სამართლის წესით.

2. რათა ანგარიშგასწორების ნუსხაში მოთავსებული ცნობების სისწორე სათანადოდ იქნეს შემოწმებული, საჭიროა რაც შეიძლება ხშირად გამოკვლეულ იქნეს ხოლმე შერჩევით ამ თუ იმ, განსაკუთრებით არაპირიანი, საწარმოს, და წესებულებისა და მეურნეობის მოქმედება, როგორც გადასახადის შეტანისა, ისე ანგარიშგასწორების ნუსხების წარდგენის მხრით. ამას გარდა, წარდგენილი ანგარიშგასწორების ნუსხები შედარებულ უნდა იქნეს წინა პერიოდის ანგარიშგასწორების ნუსხებთან, პირად ანგარიშებთან და სხვა ისეთ ცნობებთან საწარმოში, დაწესებულებაში ან მეურნეობაში დაზღვეულთა რაოდენობისა და მათვის მიცემული სამუშაო ხელფასის შესახებ, რა ცნობებიც შეიძლება დამზღვევ სალაროში მოიპოვებოდეს.

დამზღვევი სალაროს იმ თანამშრომელთ, რომელნიც დამაზღვეველთა პირად ანგარიშებს აწარმოებენ, უნდა დაეკისროს პირადი პასუხისმგებლობა პირად ანგარიშების მიხედვით იმ დამაზღვეველთა თავისდროზე გამოაშკარავებისათვის, რომელთაც ანგარიშგასწორების ნუსხები არ წარუდგენიათ და სადასაზღვევო გადასახადის შეტანის ვადა გადაუცილებიათ, რაც ზემოაღნიშნულმა თანამშრომლებმა დამზღვევი სალაროს საფინანსო ნაწილის გამგეს უნდა აცნობონ.

3. უკეთუ აღმოჩენილ იქნება სამუშაო ხელფასის ფარული თანხები, რომელზედაც გადასახადი შეტანილი არ არის, შედგენილ უნდა იქნეს სათანადო აქტი და ეს გადასახადი შესაფერი საურავითურთ დაუყოვნებლივ გადახდევინებულ უნდა იქნეს განსაზღვრული წესისამებრ. ამას გარდა, იმ საწარმოს, დაწესებულებისა და მეურნეობის პატრონი და პასუხისგებელი ხელმძღვანელი, სადაც აღმოჩენილ იქნება სამუშაო ხელფასის ფარული თანხები, აუცილებლად პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად. თანაც აღნიშნული შემთხვევები უნდა ეცნობოს ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანოებს.

4. სადასაზღვევო გადასახადის თავის დროზე და სრულად გადახდევინებისათვის დამზღვევმა ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ დიდი ენერგია და გამჭრიახობა.

არავითარი ვადის გადაცილება არ უნდა იქნეს მიღებული. ვადისგადაცილებას თან უნდა მოჰყვეს თავისდროზე მიღებული იძულებითი ღონისძიება ნარჩენის უდავო წესით გადახდევინებისათვის. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1925 წ. ივნისის 30-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 45 №-რი, მუხ 336 და „სსრ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1925 წ. 34 №-რი) დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში — საწარმოს, დაწესებულებისა და მეურნეობის პატრონი და პასუხისმგებელი ხელმძღვანელი, აგრეთვე ის კერძო პირი, რომელიც დაქირავებულ შრომას იყენებს, პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. უკეთუ, კანონის თანახმად, უდავო წესით გადახდევინების შეფარდება შეუძლებელია (სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისა და საწარმოს მიმართ), დამზღვევმა ორგანომ საჩივრით სადასაზღვეო გადასახადის გადაუხდელობის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს იმ უმაღლეს ორგანოს, რომლის გამგებლობაშიაც იმყოფება არაგადამხდელი დაწესებულება და საწარმო და, ამას გარღა, მოითხოოს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტისაგან და პროფესიონალური ორგანიზაციისაგან სათანადო ღონისძიებათა მიღება არაპირიანი დაწესებულებისა და საწარმოს წინააღმდეგ.

6. ამა ცირკულიარის მე-5 მუხ. აღნიშნულ ღონისძიებათა დამოუკიდებლად, დამზღვევმა ორგანომ, სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, პასუხისგებაში უნდა მისცეს, ადმინისტრატიული თუ სისხლის სამართლის წესით, სხვა დანარჩენ დამზღვეველთათვის არსებული საერთო საფუძველების მიხედვით, სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისა და საწარმოს პასუხისმგებელი ხელმძღვანელი სადასაზღვეო გადასახადის გადაუხდელობისათვის იმის გამო, რომ სოციალური დაზღვევის კრედიტები დახარჯულ იქნა არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ ან სხვა რამ მიზეზის გამო, აგრეთვე პასუხისგებაში უნდა მისცეს სოციალური დაზღვევის კანონთა სხვა ისეთი დარღვევისათვის, რაც გათვალისწინებულია სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივნისის 30-ს დადგენილების მე-3 მუხლით.

7. დამზღვევმა ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რათა სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფმა ყველა დაწესებულებამ და საწარმომ თავისი ხვედრი სადასაზღვეო გადასახადი 1925-26 საბიუჯეტო წლისა გაისტუმროს აღნიშნული წლის სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის კრედიტების დახურვამდე, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს იმ საშეღავათო ვადისა, რაც დაწესებულია იმავე წლის ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებულ საკიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ცალკე შემთხვევაში, უკეთუ, რაიმე მიზეზის გამო, სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება ან საწარმო არ გადაიხდის ზემოაღნიშნულ ვადაზე თავის ხვედრ გადასახადს, დამზღვევმა ორგანომ, იმის გარდა, რომ იგი მიიღებს ამა ცირკულიარის მე-5 და 6 მუხლით გათვალისწინებულ ღოონისძიებათ, უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ მის მიერ მისაღები თანხა მოთავსებულ იქნეს: უკეთუ დაწესებულება ან საწარმო სახელმწიფო ბიუჯეტზეა—კანონით დაწესებულ ხაზინის კრედიტორთა სიაში, ხოლო, უკეთუ დაწესებულება ან საწარმო ადგილობრივ ბიუჯეტზეა—შემდეგი წლის ბიუჯეტში.

8. ის შემთხვევები, რომ ზოგიერთმა დამზღვევმა ორგანომ დამაზღვეველთა დავალიანების დასაფარავად მიიღო სათამასუქო ვალდებულება, ამიერიდან შეუძლებელია განმეორდეს, რადგანაც სოციალური დაზღვევის გადასახადის ნარჩენი გადახდევინებულ უნდა იქნეს მარტოოდენ უდავო წესით, რაც უფრო მარტივი და საიმედო საშუალებაა გადახდევინებისა, ვიდრე თამასუქით გადახდევინებისათვის არსებული სასამართლო წესი.

სოციალური დაზღვევის დავალიანების დაფარვისათვის დამაზღვევლის ვექსილი შეიძლება მიიღონ მხოლოდ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებმა სოცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური დაზღვევის ცენტრალურ სამმართველოს და სახელმწიფო ბანკს შორის 1925 წ. ოქტომბრის 15-ს დადებული ხელშეკრულების („სსრკ შრომის სახ. კომისარიატის იზვესტია"-ს 1925 წ. 43—44 №-რი) მე 9 მუხ. „ა" პუნქტით გათვალისწინებული წესისამებრ, სოციალური დაზღვევის დაინტერესებული ორგანოს თანხმობით, ხოლო არა მასზე უკუქცევით.

სსრკ შრომის სახალხო კომისარი **შმიდტი.**

სოც. დაზღვ. ცენტრალური სამმართვველოს უფროსი **ნემჩენკო.**

შეთანხმებულია სრულ. საკავშ. პროფ.
კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან **ვლადიმიროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1926 №-ში 1926 წ. სექტემბრის 8-ს.

დადგენილება № 53 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

738. 1926-27 წლის პირველ ნახევარში სპეციალისტებისათვის სასყიდლის მისაცემად სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდების დაარსებისა და განსაკუთრებული კვალიფიკაციის სპეციალისტების ამიერკავკასიის მასშტაბით აღნუსხვის შესახებ.

რათა დაარსებულ იქნეს სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდები 1926-27 საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარში სპეციალისტებისათვის სასყიდლის მისაცემად—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ყველა, ამიერკავკასიის მასშტაბით მომქმედ, ორგანოს, მათ შორის ამიერკავკასიის კოოპერატიულ შენაერთების ორგანოებსაც, რომლებზედაც ვრცელდება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის აპრილის 24-ს თარიღისა და 26 №-რის დადგენილება,—წარადგინონ არა უგვიანეს ნოემბრის 1-სა ორ ცალად განცხადება მათთვის საჭირო სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდის თაობაზე; განცხადების ერთ ცალს წარმდგენელი ორგანო წარმართავს სათანადო პროფესიონალურ კავშირში დასკვნისათვის, ხოლო მეორე ცალს წარადგენს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატში—ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს კომისიისათვის, რომელიც განსაზღვრავს ხოლმე განსაკუთრებულ ფონდებს; განცხადებას უნდა დაერთოს სპეციალისტების სია და ცნობები განსაკუთრებული ფონდის ყოველთვიური ხარჯვის შესახებ 1925-26 საბიუჯეტო წლის მეორე ნახევარში.

2. განსაკუთრებული ფონდი სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებებისათვის განისაზღვროს განსაკუთრებული წესით ამიერკავკასიის ბიუჯეტის საბოლოოდ მიღების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. უფლება მიეცეს ა/კ. სამეურნეო ორგანოებსა და ა/კ. კოოპერატიულ შენაერთებს, ვიდრე მათთვის საჭირო განსაკუთრებული ფონდის შესახები განცხადებანი დამტკიცდებოდეს, ამ ფონდის ხარჯვა აწარმოონ უკვე წინად დამტკიცებული რაოდენობით, ხოლო იმ აუცილებელი პირობით, რომ მათთვის საჭირო ახალი განსაკუთრებული ფონდი გამოთხოვილ იქნეს ამა დადგენილების 1-ლი მუხლით დაწესებულ ვადაზე.

4. იმ კვალიფიციური სპეციალისტების ამიერკავკასიის მასშტაბით აღნუსხვისათვის, რომელთა თვიური ჯამაგირი 360 მან. განაკვეთს აღემატება, წინადადება მიეცეს აზერბაიჯანისა, საქართველოს და სომხეთის შრომის სახალხო კომისარიატებს—წარმოადგინონ ა/წ. ნოემბრის 1-თვის აღნიშნული სპეციალისტების დაწვრილებითი სია, რაშიაც აღნიშნული უნდა იყოს სპეციალისტების ძირითადი და დამატებითი განაკვეთები, ვის მიერ არის ეს განაკვეთები დანიშნული ან განსაზღვრული; თანაც სიას უნდა დაერთოს ამ კატეგორიის თვითეული სპეციალისტის დაწვრილებითი დახასიათება.

5. წინადადება მიეცეს ა/კ. სამეურნეო ორგანოებსა და ა/კ. კოოპერატიულ შენაერთებს, რომელნიც-კი, ამა დადგენილების თანახმად, მოვალენი არიან წარადგინონ განცხადება მათთვის 1926-27 წ. პირველ ნახევარში საჭირო სამუშაო ხელფასის განსაკუთრებული ფონდის შესახებ,—უკეთუ მათ ისეთი სპეციალისტები ჰყავთ, რომელთა თვიური ჯამაგირი 360 მან. აღემატება, დაურთონ განცხადებას ამ სპეციალისტების დაწვრილებითი დახასიათება.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

სატარიფო-საკონფლ. განყ. გამგე **ლეონი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა“-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

საკავშირო დადგენილება № 7 ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა

1926 წ. სექტემბრის 22.

739. ა/კსფსრ სტატისტიკური დაწესებულებების ზომა-წონის მეტრულ სისტემაზე გადასვლის წესის შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღის დადგენილების მე-11 §-ს „ბ“ პუნქტის თანახმად, ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია განსაზღვრავს შემდეგ წესს ა/კსფსრ სტატისტიკური დაწესებულებების მეტრულ სისტემაზე გადასვლისას:

1. ყოველგვარ სტატისტიკურ პუბლიკაციაში, რაც გამოქვეყნებულ იქნება 1927 წ. იანვრის 1-დან, ცხრილების სათანადო განყოფილების ჯამობითი სვე-

ტებში მოცემულ უნდა იქნეს, ძველი რუსული ზომა-წონის გვერდით, მეტრული ზომა-წონა.

2. რამდენადაც ზომა-წონის მეტრული სისტემა განხორციელებულ იქნება სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებში, აგრეთვე დაწესებულებათა და საწარმოთა ან მათ ნაწილების ანგარიშებში, იმდენად სტატისტიკური დაწესებულებანი, ვიდრე ა/კსფსრ-ში რეფორმის განხორციელების საბოლოო ვადა დადგებოდეს, თავიანთ მუშაობაში გადადიან ზომა-წონის მეტრულ სისტემაზე; ამასთანავე მათ მიერ გამოსაქვეყნებელ სტატისტიკურ ანგარიშების სათანადო ჯამობითი სვეტებში მოცემულ უნდა იქნეს, მეტრულ ერთეულების გვერდით, ძველი რუსული ერთეულები.

შენიშვნა. სტატისტიკური ფორმულიარების გაწყობა მოხდება სსრკ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ინსტრუქციის თანახმად.

3. წინადადება ეძლევა ა/კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია რესპუბლიკანური ცენტრალული სტატისტიკური სამმართველოების მიერ ამა დადგენილების განხორციელების შესახებ.

4. ამა დადგენილების განხორციელება დაეკისრება ა/კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

5. ამა დადგენილების დარღვევა დაისჯება ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლით.

ამიერკავკასიის ცენტრალური სტატისტიკური
სამმართველოს მმართველი **გრიგორიანი.**

ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო
მეტრული კომისიის თავმჯდომარე პროფეს. **ზავრიევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1296 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 8-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

740. განჯის ვიწროლიანდაგიან შტოზე მგზავრთა მიმოსვლის ტარიფის დაწესების შესახებ.

განჯის ვიწროლიანდაგიანი შტოთი მგზავრთა მიმოსვლისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ტარიფი:

1. თვითეულ მგზავრს ა/კ. რკ. გზ. განჯის სადგურიდან განჯა-ქალაქის სადგურამდე მთელი მანძილის სიგრძეზე ერთგზობით წაყვანისათვის გადაჰხდეს 20 კაპ.

2. განჯა-ქალაქის სადგურიდან ქარხნებთან მდებარე პლატფორმამდე ა/კ. მებამბეობის კომიტეტის იმ მუშებისა და მოსამსახურეების ერთგზობით წაყვანისათვის, რომელნიც სპეციალური მუშათა მატარებლით სამუშაოზე ან სამუშაოდან სახლში მიდიან, დაწესებულ იქნეს 10 კაპ. თითო კაცზე, უკეთუ, ამასთანავე, წარდგენილ იქნება ვინაობის მოწმობა, რითაც დამტკიცდება, რომ ესა თუ ის პირი მართლა ა/კ. მებამბეობის კომიტეტის ქარხნის მუშაა ან მოსამსახურე.

ტარიფი ესე დაწესებულია ერთი წლის ვადით და სამოქმედოდ შემოიღება შვიდი დღის შემდეგ დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო
სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე **ასლანოვი.**

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი **შახბუდალოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1298 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 10-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

7-41. ძმრის აქციზის გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ღვინის ძმრის აქციზი.

2. დაევალოს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს ინსტრუქცია, რაც უზრუნველჰყოფს აქციზის გადახდევინებას 64 კაპ. რაოდენობით თითო ვედროზე ან 5 კაპ. რაოდენობით თითო ლიტრზე, ისეთი ღვინისათვის, რომლის სიმაგრე 14° არ აღემატება და რომელიც ძმრის მოსამზადებლად არის დანიშნული, სსრკ ცენტრ. აღმ. კ-ტისა და სახ. კომისართა საბჭოს 1924 წ. დეკემბრის 19-ს დადგენილების წესისამებრ (კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 2).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ოქტომბრის 11. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1301 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 14-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

742. იმ კანონთა ნუსხის შესახებ, რომელთაც დაჰკარგეს ძალა სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წ. აპრილის 24-ს დამტკიცებულ და ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. აგვისტოს 9-ს დამტკიცებულ ადგილობრივი ფინანსების დებულებასთან დაკავშირებით.

ადილობრივი ფინანსების დებულების გამოცემასთან (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 31 №-რი, მუხ. 198 და ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 597) დაკავშირებით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. თებერვლის 12-ს დადგენილება—სარკინისგზო ტრანსპორტის იმ ნაგებობათა შესახებ, რაც განთავისუფლებულ უნდა იქნეს ადგილობრივი სანაგებობო გადასახადისაგან (ა/კსფსრ კან. და განკ. კრ. 1925 წ. მე-2 №-რი, მუხ. 362).

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 4-ს დადგენილება—იმ ქალაქთა ნუსხის შესახებ, რომელთათვისაც სატვირთო გადასახადის უკიდურესი განაკვეთი დაწესებულია გადიდებული რაოდენობით (ა/კსფსრ კან. და განკ. კრ. 1925 წ. მე-4 № რი, მუხ. 399).

3. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. მაისის 27-ს დადგენილება—ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების დარღვევის აღმკვეთ ღონისძიებათა შესახებ (ა/კსფსრ კან. და განკ. კრ. 1925 წ. მე-5 №-რი, მუხ 431).

4. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ივნისის 18-ს დადგენილება—სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხის შესახებ 1925-26 საბიუჯეტო წლისათვის (ა/კსფსრ კან. და განკ. კრ. 1925 წ. მე-6 №-რი, მუხ. 452).

5. ა/კსფსრ სახალო კომისართა საბჭოს 1925 ივლისის 16-ს დადგენილება—იმ ქალაქთა ნუსხის შესახებ, რომელთათვისაც ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების უკიდურესი განაკვეთი დაწესებულია გადიდებული რაოდენობით (ა/კსფსრ კან. და განკ. კრ. 1925 წ. მე-7 №-რი, მუხ. 470).

6. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. იანვრის 19-ს დადგენილება—სსრკ 1-ლი მოწვევის ცენტრალური აღმასრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი კომიტეტის მე-3 სესსიის მიერ 1923 წ. ნოემბრის 12-ს დამტკიცებული ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების სამოქმედოდ შემღების შესახებ, იმ ცვლილებით, რაც შეტანილია სსრკ მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესსიის 1924 წლის ოქტომბრის 29-ს დადგენილებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. ოქტომბრის 11. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1301 №-ში 1926 წ. ოქტომბრის 14-ს.

ტფილისი, 1927 წ.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1091. დაიბეჭდა 800.